განზრახვისა და გაუფრთხილებლობის თავსებადობის საკითხი საფრთხის დელიქტებში

გიორგი გამხიტაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, ადვოკატი

ელფოსტა: ggamkhitashvili2@gmail.com

აბსტრაქტი

წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ურთიერთმიმართება საფრთხის დელიქტებთან. საფრთხის დელიქტები გამოირჩევიან თავიანთი განსაკუთრებული ხასიათით. მათი განსაკუთრებულობა კი, პირველ რიგში, გამომდინარეობს იმ როლიდან, რომლის შესასრულებლადაც გახდა საჭირო მათი დანერგვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, კერძოდ, აქ ხაზგასასმელია, საფრთხის დელიქტების მიერ დასაცავი ობიექტების ღირებულება და სახელმწიფოს მიერ მათი უსაფრთხოდ არსებობის უპირობოდ უზრუნველყოფა. მათ მიერ დასაცავი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მათი ობიექტური მხარის აგებულება გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდება, კერძოდ, კლასიკური დელიქტებისაგან განსხვავებით, მათი დისპოზიცია გამოიხატება ქმედების განხორციელებით, რომელიც ნიშანდობლივ საფრთხეს უქმნის სისხლის სამართლის კოდექსით დაცულ სიკეთეს (კონკრეტული საფრთხის დელიქტები) ან საზოგადო საფრთხის შემცველი ქმედების ჩადენით (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები).

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, გაანალიზდა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო ელემენტების ურთიერთმიმართება საფრთხის დელიქტების სახეებთან. გასარკვევია, რამდენად სრულადაა წარმოდგენილი განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ნიშნები კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა განზრახვის ან გაუფრთხილებლობის რომელი სახე შეიძლება გამოვლინდეს საფრთხის დელიქტების კონკრეტულ სახეებში.

საკვანძო სიტყვები: საშიშროება, შეგნებულობა, უპასუხისმგებლობა

სამართლის მაცნე 7/2021 • # 3

The Issue of the Compatibility of Intent and Negligence in Torts of Danger

Giorgi Gamkhitashvili

PhD student at Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Attorney
Email: ggamkhitashvili2@gmail.com

ABSTRACT

The relationship between intent / negligence and torts of danger is analyzed in the present article. As it is known, due to their special nature, torts of danger play a significant role in criminal code. Their special feature firstly comes from its role, implementation of which was the reason for its introduction to criminal legislation. In particular, the value of the objects to be protected by the torts of danger and an unconditional provision of their safe existence by the state should be highlighted. The structure of their objective part is characterized by some specificity consequent from the legal goodness to be protected by them. In particular, different from the classical torts, their disposition is expressed by taking action that is dangerous for goodness (specific torts of danger) defended by the Criminal code or by committing an action, which is intrinsically connected to creation of danger (abstract torts of danger).

That is why it is important to discuss the issue of the compatibility of intent and negligence in the context of the types of torts of danger. It is necessary to find out to what extent the elements of intent and negligence are fully represented in specific and abstract torts of danger. In this regard, it is interesting which form of intent or negligence can be revealed in specific forms of torts of danger.

KEYWORDS: Peril, Consciousness, Irresponsibility

შესავალი

საფრთხის დელიქტები, თავისი არსითა და დანიშნულებით, მკვეთრად განსხვავდებიან სხვა დანაშაულებისაგან. მათი სპეციფიკურობა, პირველ რიგში, გამოიხატება სწორედ მათ საკანონმდებლო აგებულებაში, რომელიც, თავის მხრივ, ხაზს უსვამს დასაცავი სამართლებრივი სიკეთის მნიშვნელობას, ადრეულ ეტაპზე მისი დაცვის საჭიროებას. საფრთხის დელიქტების საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით განასხვავებენ კონკრეტულ, აბსტრაქტულ და აბსტრაქტულ კონკრეტულ საფრთხის დელიქტებს. თითოეულ მათგანს ახასიათებს საერთო და, ამავდროულად, ერთმანეთისაგან მკაფიოდ განმასხვავებელი ნიშნები. აქედან გამომდინარე, საინტერესოა განზრახვისა და გაუფრთხილებლობის მიმართება საფრთხის დელიქტების სახეებთან. სტატიაში განხილულია განზრახვის სახეები, თოთოეული მათგანისათვის დამახასიათებელი ნიშნები. დადგენილია მათი საერთო და, უფრო მეტად, ერთმანეთისაგან განმასხვავებელი ნიშნების - განსაკუთრებით ვოლუნტატიური (ნებელობითი) მომენტის განსაზღვრება პირდაპირ და არაპირდაპირ განზრახვაში. ამის შემდგომ კი უშუალოდ გამოკვლეულია განზრახვის თითოეული სახის შეთავსების თავისებურების საკითხი კონკრეტულ და აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში. გაანალიზებულია, რამდენად შესაძლებელია გაუფრთხილებლობის ორივე სახით - თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით - საფრთხის ცალკეულ დელიქტთა განხორციელება. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა სწორედ დაუდევრობით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენა და, რა თქმა უნდა, ამ კუთხითაც განხილულია განსხვავებული პოზიციები. აქვე აღვნიშნავ, რომ წინამდებარე სტატია ეფუძნება ჩემს სამაგისტრო ნაშრომს - „განზრახვა და გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში“.

პირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტებში

„განზრახვა არის გადაწყვეტილების შედეგად ადამიანში აღმოცენებული მზაობა, რომელშიც უკვე წინასწარ არის განსაზღვრული მეტ - ნაკლები სიცხადით, თუ სად რა უნდა გაკეთდეს“. [1] ინგლისური სისხლის სამართლის დოგმატიკის თანახმად, „განზრახვა სხვა არაფერია, თუ არა მიზანდასახული გადაწყვეტილება და მის განსახორციელებლად კონკრეტული ხერხით მოქმედება“. [2]

ქართულ სისხლის სამართალში განზრახვა ორი სახისაა: პირდაპირი და არაპირდაპირი (ევენტუალური) განზრახვა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ქმედება პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდა ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდა ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობას. თითქმის მსავსადაა აღნიშნული საკითხი მოწესრიგებული ინგლისურ სისხლის სამართლალშიც, კერძოდ, „პირდაპირი განზრახვით ქმედებას ჩადენილად მიიჩნევენ მაშინ, როდესაც მართლსაწინააღმდეგო შედეგი რეალურად მისაღებია ბოროტმოქმედისათვის“.[3] პიროვნებას პირდაპირი განზრახვა გააჩნია მაშინ, როდესაც იგი განახორციელებს დანაშაულებრივ ქმედებას მისთვის სასურველი, კონკრეტული მიზნის მისაღწევად“.[4] ფაქტობრივად, აღნიშნული დეფინიცია უტოლდება პირველი ხარისხის პირდაპირ განზრახვას. თუმცა, რაც შეეხება მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვას, აქ არ იკვეთება თანხვედრა ქართულ და ინგლისურ სისხლის სამართალს შორის, კერძოდ, ინგლისური სისხლის სამართალი არ იცნობს მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის ცნებას და ამიტომ ამგვარ შემთხვევებს, ჩვენგან განსხვავებით, აფასებს არაპირდაპირ განზრახვად. მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ ინგლისურ სისხლის სამართლის დოგმატიკაში მოყვანილი შემდეგი მაგალითი: „დ-ს სურს ვ-ს მოკვლა, რომელიც დგას ფანჯრის უკან. ამ დროს დ-ს განზრახული აქვს ფანჯრის ჩამტვრევაც, რადგან ეს არის აუცილებელი წინაპირობა ვ-ს მკვლელობისა. მან იცის, რომ მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლას აუცილებლად მოჰყვება ფანჯრის ჩამტვრევა. ინგლისელი ავტორების აზრით, ამ სიტუაციაში ფანჯრის ჩამტვრევა დ-სთვის არის დაქვემდებარებული, მეორე მიზანი, რის გამოც ფანჯრის დაზიანების მიმართ

[1] თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 226.

[2] Michael G. A. and Christie, M.A., 1996. Criminal Law. Sixth Edition. Edinburg: Oxford University Press, გვ. 51.

[3] Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law.Tenth Edition. გვ. 22.

[4] Simester, A. P., Spencer, J. R., Sullivan, G.R. and Virgo, G. J., 2013. Criminal Law, Theory and Doctrine. Fifth Edition. გვ. 168.

მას გააჩნია არაპირდაპირი განზრახვა“. [5] ჩვენი კანონმდებლობით კი ანალოგიური შემთხვევა, ფანჯრის დაზიანებასთან მიმართებით, შეფასდება მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვად, ვინაიდან დ-ს ქმედებას - ფანჯრის მიმართულებით სროლას - გარდუვალად მოჰყვებოდა მისი დაზიანება. ამ შემთხვევაში, არაპირდაპირი განზრახვა გამოირიცხება.

ამრიგად, ქართველი კანონმდებელი პირდაპირი განზრახვის განსაზღვრისათვის იყენებს ფსიქიკის ინტელექტუალურ და ნებელობით ელემენტებს, სახელდობრ, ეს ელემენტები ასეა ჩამოყალიბებული: პირის მიერ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება; მართლსაწინააღმდეგო შედეგის გარდუვალობა ანდა ასეთი შედეგის განხორციელების შესაძლებლობა; მათი განხორციელების სურვილი. აქვე მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, რომ ნებელობითი მომენტის დადგენა აუცილებელია სწორედ პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, რადგან მისი საკანონმდებლო დეფინიციიდან ნათლად იკვეთება პირის სურვილი მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომისა. ეს გახლავთ ის კონსტიტუციური ნიშანი, ურომლისოდაც არ არსებობს პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვა. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში კი განმსაზღვრელია არა ნებელობითი მომენტი, არამედ გაცნობიერებულად ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტი, რომელსაც გარდაუვლად მოსდევს მართლსაწინააღმდეგო შედეგი. „არაა გამორიცხული, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროსაც უტყუარად დადგინდეს, რომ პირს არ სურდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა. თუმცა, არაპირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, ამის დადგენა არაა სავალდებულო. მთავარია, დადგინდეს, რომ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედებით მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გარდუვალობა და, ამის მიუხედავად, მაინც განახორციელა ეს ქმედება“. [6] ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში საკამათოა მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში ნებელობითი მომენტის არსებობა-არარსებობის საკითხი. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად: „ვინც დარწმუნებულია შედეგის დადგომის გარდაუვალობაში, მას აქვს ქმედების შემადგენლობის განხორციელების ნებელობაც, მაშინაც კი, როცა ეს მისთვის არასასურველია“.[7] „ნებელობა მეორე ხარისხის პირდაპირ განზრახვაში ორი მნიშვნელობით - დესკრიფციულ-ფსიქოლოგიური და ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით უნდა იყოს გამოყენებული. ნებელობის ნორმატიულ-შერაცხვითი გაგება კი გულისხმობს იმას, რომ პირს შედეგის დადგომა, მართალია, გამიზნულად არ სურს, მაგრამ მის დადგომას გარდაუვალად მიიჩნევს. აქ ნებელობა არა ფსიქოლოგიურად, არამედ ნორმატიულად უნდა დასაბუთდეს“. [8] მეორე მოსაზრების თანახმად კი, ასეთი დაშვების შემთხვევაში შემდეგი დასკვნა უნდა გაკეთდეს: მართალია, სურვილს ნორმატიული გაგებაც აქვს, მაგრამ კანონმდებელმა სს კოდექსში რატომღაც უპირატესობა მაინც მის ფსიქოლოგიურ გაგებას მიანიჭა“.[9] „ცოდნა, რომ რაღაც გარდაუვალად დადგება, მოსალოდნელ შედეგს სასურველად ვერ აქცევს“.[10] სურვილი მხოლოდ ფსიქოლოგიური შინაარსის კატეგორიაა, რომლის დადგენას სისხლის სამართალში - ნორმატიულ დარგში- გარკვეული მნიშვნელობა აქვს, მაგრამ სურვილს ეს ვერ აქცევს ნორმატიულ კატეგორიად. არის ცნებები, რომლებიც მხოლოდ ფსიქოლოგიურად შეიძლება აიხსნას, ესენია, მაგალითად: სურვილი, მიზანი, მოტივი, გადაწყვეტილება. გარდა ამისა, სურვილი არც დესკრიფციული შეიძლება იყოს, ვინაიდან იგი ადამიანის შინაგან მხარეს წარმოადგენს, იგი არ არის გარეგანი, რომელიც აღწერას ექვემდებარება, რომელსაც რაღაც ფორმა აქვს, რომელსაც ჩვენ გარეგნულად დავინახავთ. იქ, სადაც გარკვეული შედეგის გამოწვევის სურვილი თავისი ბუნებრივი მნიშვნელობით არ არსებობს, მისი არსებობა ნორმატიულად ვერ დასაბუთდება“.[11] „პირველი ორი ნიშანი ახასიათებს სუბიექტის ფსიქიკაში მიმდინარე პროცესებს და შეადგენს პირდაპირი

[5] Smith, J., 2002. Criminal Law, Butterworths. Tenth Edition. გვ. 50.

[6] თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 269.

[7] ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 132.

[8] მაღლაკელიძე, ლ., 2012. „განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)“. სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 165.

[9] თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 270.

[10] გეგელია, თ., 2018. „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები“. სადოქტორო დისერტაცია. კავკასიის უნივერსიტეტი. თბილისი: გვ. 111.

[11] ცქიტიშვილი, თ., 2014. ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის. მართლმსაჯულება და კანონი, 4 (43), გვ. 105.

განზრახვის ინტელექტუალურ ელემენტს. მესამე ნიშანი, რომელიც გამოიხატება შედეგის სურვილში, შეადგენს პირდაპირი განზრახვის ნებელობით ელემენტს".[12] როგორც ზემოთაც აღინიშნა, პირდაპირი განზრახვაც დასრულებულ შემადგენლობებზეა გათვლილი. ამრიგად, საინტერესოა მისი ურთიერთმიმართება როგორც კონკრეტულ, ასევე აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებთან, კერძოდ, რამდენად შესაძლებელია პირდაპირი განზრახვის მოცემული დეფინიცია გამოყენებულ იქნეს კონკრეტული საფრთხის დელიქტებში? „გამომდინარე ბრალის პრინციპიდან, რომლის თანახმად ბრალი უნდა ვრცელდებოდეს შესაბამისი ობიექტური მხარის ყველა რგოლზე, რაც კი შემადგენლობას განეკუთვნება, საკითხი ასე გადაწყდება: ინტელექტუალური მხრივ პირდაპირმა განზრახვამ უნდა მოიცვას ობიექტური მხარის ყველა ის რგოლი, რომლითაც საფრთხის დელიქტის ობიექტური მხარე ამოიწურება მისი საკანონმდებლო აღწერილობის მიხედვით. ნებელობითი მომენტი კი ობიექტური მხარის უკანასკნელ რგოლთან მისი დამოკიდებულების მიხედვით განისაზღვრება".[13] პირდაპირი განზრახვით მოქმედი პირი უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული საფრთხის დელიქტის ობიექტური შემადგენლობის ყველა ნიშანს, ხოლო რაც შეეხება ნებელობით ელემენტს, მას სურვილი უნდა ჰქონდეს, რომ თავისი ქმედების შედეგად შეიქმნას კონკრეტული საფრთხე. მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 127-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმ პირის ჩაყენებისთვის, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა მიიღოს ზომები თავის დასაცავად. ე.ი. პირისათვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად მნიშვნელოვანია, რომ მას გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ე.ი. ქმედების როგორც ფაქტობრივი, ისე სოციალური ხასიათი. შესაბამისად, გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება არის მართლსაწინააღმდეგო და, ამასთანავე, სხვა პირის სიცოცხლეს შეექმნება საფრთხე. რაც შეეხება ნებელობით მომენტს, აუცილებელია, რომ დამნაშავეს სურდეს იმ პირის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება, რომელსაც შესაძლებლობა არ აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად. პროფესორ მინდია უგრეხელიძის სწორი შეხედულებით, „ვინაიდან რეალური შედეგი არ წარმოადგენს დანაშაულის კონსტიტუციურ ნიშანს, ამიტომ მის ადგილს იჭერს წინარე ეტაპი ობიექტური მხარის განვითარებისა - რეალური საფრთხის შექმნა."[14] შესაბამისად, განსახილველ საფრთხის დელიქტში პირდაპირი განზრახვის მესამე ნიშანი - ნებელობითი ელემენტი - ესადაგება უკვე შექმნილ კონკრეტულ საფრთხეს, როგორც შედეგის სახესხვაობას, რომელიც მოცემული შემადგენლობის კონსტიტუციურ ნიშანს წარმოადგენს. ქართველი მეცნიერი თინათინ წერეთელი შესაძლებლად მიიჩნევს პირდაპირი განზრახვით კონკრეტული საფრთხის დელიქტის ჩადენას და აღნიშნავს, რომ „საფრთხის შექმნის განზრახვის დროს, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ადამიანს წარმოდგენილი ჰქონდეს დანაშაულის ყველა ნიშანი, მათ შორის თავისი ქმედების მიზეზობრივი კავშირი იმ საფრთხესთან, რომელიც ამ დელიქტის თავისებურ შედეგს წარმოადგენს".[15] რაც შეეხება აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებს, მათი ჩადენაც თავისუფლადაა შესაძლებელი პირდაპირი განზრახვით, ე.ი. პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო კონსტრუქცია, გარკვეული თავისებურებით, მაინც შეესაბამება აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის საკანონმდებლო ნიშნებს. გარკვეული თავისებურება კი მდგომარეობს იმაში, რომ ვინაიდან ისინი შედეგგარეშე, ანუ ფორმალურ შემადგენლობებად გვევლინება, პირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელი სამივე ნიშანი მიესადაგება საკუთრივ დისპოზიციაში აღწერილ ქმედებას. „თუ შემადგენლობაში შეტანილი არ არის მატერიალური შემადგენლობის დამახასიათებელი ნიშანი, მაშინ, როგორც ჩანს, ბრალის ამა თუ იმ ფორმის განმსაზღვრელი ფსიქოლოგიური ელემენტები საკუთრივ ქმედების ნიშნებს უნდა შეეხოს."[16] პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, მისი ფაქტობრივი და სოციალური ხასიათი, კერძოდ, ის რომ სჩადის საშიში თვისებების მქონე ქმედებას, რომელსაც იმანენტურად თან სდევს საფრთხე და,

[12] გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 129.

[13] უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 13.

[14] უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 13.

[15] წერეთელი, თ., 2010. სისხლის სამართლის პრობლემები. მეოთხე ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 217.

[16] უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 15.

ამავდროულად, უნდა სურდეს კიდეც ამგვარი ქმედების განხორციელება. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ნებელობითი ელემენტის მისადაგება ქმედების განხორციელების ფაქტთან განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრებას არ ეწინააღმდეგება. ამის მაგალითად მოხმობილია შემდეგი გამონათქვამები: „პაპიროსის მოწევის სურვილი, ან ნდომა, დასვენების ან მუშაობის სურვილი ან ნდომა და ა.შ.[17] „რაც, იმას ადასტურებს, რომ ნებელობითი ელემენტის მისადაგება ქმედების განხორციელების ფაქტის მიმართ არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს."[18] მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 230-ე მუხლით გათვალისწინებული შემადგენლობა: „ბირთვული მასალის, ან მოწყობილობის, რადიოაქტიური ნარჩენის, რადიოაქტიური ნივთიერების, აგრეთვე ნებისმიერი სახისა და დანიშნულების მოწყობილობის, დანადგარის, ხელსაწყოს ან ნაკეთობის, რომელიც შეიცავს რადიოაქტიურ ნივთიერებას, უკანონო შეძენა, შენახვა, ფლობა ან განკარგვა, გამოყენება, გადამუშავება, გამოცდა, გადაცემა, გადაზიდვა, ექსპორტი, იმპორტი, ვაჭრობა ან მათდამი სხვა უკანონო მოპყრობა, აგრეთვე მათთან დაკავშირებული სხვა გარიგება". განსახილველი შემადგენლობის ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. შესაბამისად, პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისაცემად საჭიროა დადგინდეს, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა, ე.ი. მისი ფაქტობრივი და სოციალური მხარე, კერძოდ, ის რომ იგი „საქმეს იჭერდა" ისეთ იარაღთან ან მოწყობილობასთან, რომელიც საშიში თვისებების შემცველია და, ამასთანავე, მან, თავისი ნება-სურვილის შესაბამისად, განახორციელა სისხლის სამართლის კანონით აკრძალული ქმედება. მაგალითად, გამოსცადა ბირთვული მოწყობილობა.

არაპირდაპირი განზრახვა საფრთხის დელიქტებში

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, „ქმედება არაპირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა ან გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას".[19] „არაპირდაპირი განზრახვა მსგავსია პირდაპირი განზრახვისა ინტელექტუალური ელემენტის მიხედვით, კერძოდ იმით, რომ აქაც კანონით აუცილებელია ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერება. მაგრამ ინტელექტუალური ელემენტის მეორე ნიშნის - მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინების მიხედვით, არაპირდაპირი განზრახვა მნიშვნელოვნად განსხვავდება პირდაპირი განზრახვის შესაბამისი ნიშნისაგან. უპირველეს ყოვლისა, არაპირდაპირი განზრახვისას გამორიცხულია მართლსაწინააღმდეგო შედეგის განხორციელების აუცილებლობის გათვალისწინება, რადგანაც ასეთი გათვალისწინება წარმოადგენს მხოლოდ პირდაპირი განზრახვის დამახასიათებელ ნიშანს".[20] ე.ი. ისინი ინტელექტუალური ელემენტის მხრივაც არ ემთხვევა ერთმანეთს. თუმცა, მათ უმთავრესად ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახვის მესამე - ნებელობითი ნიშანი. ევენტუალური განზრახვით მოქმედ პირს არ სურს თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებიდან გამომდინარე შედეგის დადგომა, თუმცა, იმდენად ძლიერია გარკვეული მიზნის მიღწევის სურვილი, რომ იგი ან გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას ან კიდევ საერთოდ შეგნებულად უშვებს მის დადგომას. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია განსხვავებული პოზიცია, რომლის მიხედვითაც „არაპირდაპირი განზრახვის დროს პირს დესკრიფციულ-ფსიქოლოგიურად არ სურს შედეგის დადგომა, მაგრამ ნორმატიულ-შერაცხვითი მნიშვნელობით აქვს შედეგის დადგომისსურვილი".[21] „პირდაპირი განზრახვისაგან ევენტუალური განზრახვა ნების არარსებობით კი არ განსხვავდება, არამედ მხოლოდ იმით, რომ ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი არ მიისწრაფვის ასეთი საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, მას ამ შედეგის მიმართ რაიმე

[17] იქვე, გვ. 14.

[18] ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 143.

[19] მუხლი 9, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი". პარლამენტის უწყებანი 22/07/1999, # 2287.

[20] გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 132.

[21] ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 130 -131.

ემოციური განცდები არ აქვს".[22] ზემოაღნიშნული მოსაზრება ცალსახად განიცდის გერმანული დოგმატიკის გავლენას, რადგან „გერმანულ სისხლის სამართალში აღიარებულია, რომ თუ პირი შედეგის განხორციელების ცოდნას ფლობს და მაინც მოქმედებს, მაშინ მას ამ შედეგის დადგომა სურს კიდეც, ამიტომაც გერმანელი კრიმინალისტები ევენტუალური განზრახვის სუსტი ვოლუნტატიური ელემენტის არსებობაზე მიუთითებენ. გერმანულ სისხლის სამართალში განზრახვის საკანონმდებლო განმარტება არ არსებობს და ევენტუალური განზრახვის ამდაგვარი გაგება დოგმატიკოსებისა და პრაქტიკოსების მიერ დასაშვებია". [23]

ვფიქრობთ, აღნიშნული პოზიცია არაა გასაზიარებელი და გარკვეულ დაკონკრეტებასაც საჭიროებს. კერძოდ, ზემოაღნიშნული მოსაზრების გაზიარების შემთხვევაში გამოდის, რომ პირდაპირი განზრახვის ორივე სახის დროს პირი მიისწრაფვის საზოგადოებრივად საშიში შედეგისაკენ, რაც არაა სწორი. პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისას დამნაშავე მართლაც უშუალოდ მიისწრაფვის მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომისაკენ, ვინაიდან მას სურს იგი. ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო დეფინიცია კი პირდაპირ ხაზს უსვამს მართლსაწინააღმდეგო შედეგის არ დადგომის სურვილს, ჩვენს შემთხვევაში კი, „სისხლის სამართლის დოგმატიკის საფუძველი და მისი საზღვარი მოქმედი კანონმდებლობაა",[24] რის გამოც ეს უკანასკნელი სწორედ ნების არარსებობით განსხვავდება პირველი ხარისხის პირდაპირი განზრახვისაგან. მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის შემთხვევაში კი, დამნაშავე უშუალოდ მიისწრაფვის სხვა მთავარი მიზნისაკენ, ხოლო დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი კი წარმოადგენს ამგვარი მიზნის განსახორციელებლად ჩადენილი ქმედების გარდაუვალ ნაყოფს. ესე იგი გამოდის, რომ პირდაპირი და ევენტუალური განზრახვის გასამიჯნად მოყვანილი ნიშანი - მოქმედი პირის სურვილის არ ქონა, დადგეს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, წარმოადგენს არა მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისა და ევენტუალური განზრახვის განმასხვავებელ, არამედ მათ საერთო ნიშანს. ორივე შემთხვევაში პირი არ მიისწრაფვის ამ კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო შედეგისაკენ, უბრალოდ მათ შორის განსხვავება მდგომარეობს შედეგის გარდაუვლად დადგომის, როგორც ფაქტის, გათვალისწინების მომენტში. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად: „ არაპირდაპირ განზრახვაში შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება გულისხმობს ამ ცნებაში ნებელობითი მომენტის აღიარებას. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, ისევე როგორც მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვის დროს, ნებელობა განმარტებული უნდა იქნეს ნორმატიულ-შერაცხვითი გაგებით" .[25]

აღნიშნული მოსაზრება საკამათოა, ვინაიდან ევენტუალური განზრახვის დროს პირს სურს ძირითადი მიზნის განხორციელება, ხოლო სავარაუდო თანმდევი შედეგის მიმართ კი გააჩნია გულგრილი დამოკიდებულება. ანუ დამნაშავეს საერთოდ არ სურს სავარაუდოდ თანმდევი კონკრეტული შედეგის დადგომა, მაგრამ თუ დადგა, უდარდელად შეეგუება მას. აქ მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ ევენტუალური განზრახვისას, მეორე ხარისხის პირდაპირი განზრახვისაგან განსხვავებით, გვერდითი შედეგი არის სავარაუდო და არა გარდაუვალი. შესაბამისად, შესაძლო გვერდითი შედეგისადმი გულგრილი დამოკიდებულება და შედეგის გარდაუვლად დადგომასთან შეგუება არსებითად განსხვავებული ცნებებია და მათი ერთმანეთთან გაიგივება დაუშვებელია. ევენტუალური განზრახვისას შედეგისადმი ნებელობითი მომენტის დამტკიცება გულგრილ დამოკიდებულებაზე მითითებით არ არის მართებული. ზემოთ აღნიშნული პოზიციის გაზიარებით, გამოვა, თითქოს ამგვარი დანაწესით კანონმდებელმა გვითხრა: უფლებას გაძლევთ, სადაც მე ვიტყვი ,,არ სურდა", იქ სამართალშემფარდებელმა იგულისხმოს ,,სურდა", სადაც მე ვიტყვი „არას", იქ სამართალშემფარდებელმა იგულისხმოს „კი". ასეთი რამ კი ნამდვილად ეწინააღმდეგება არა მხოლოდ გონიერი კანონმდებლის ნებას, არამედ

[22] მაღლაკელიძე, ლ., 2012. „განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)". სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 166.

[23] მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2010. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 90.

[24] იქვე, გვ. 90.

[25] მაღლაკელიძე, ლ., 2012. „განზრახვა და მართლწინააღმდეგობის შეგნება ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი)". სადოქტორო დისერტაცია. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 169.

სამართლებრივ ლოგიკასაც".[26] „ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრება, რომ პირს არ სურს შედეგის დადგომა, ერთმნიშვნელოვნად უნდა იქნეს გაგებული, ესაა კანონმდებლის ნება. ასე რომ არ ნდომოდა, არც გაითვალისწინებდა". [27] „ სისხლის სამართლის დოგმატიკოსმა სისხლის სამართლის კანონის განმარტებისას (de lege lata) სიტყვასიტყვითი განმარტების ფარგლებს არ უნდა გადააბიჯოს და თუ იგი კანონის ანალიზის საფუძველზე იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ნორმის შეცვლაა აუცილებელი, მას მხოლოდ და მხოლოდ de lege ferenda წინადადების წამოყენების უფლება აქვს". [28] „ კანონის ამგვარი განმარტება კანონის აზრის საწინააღმდეგო (contra legem) განმარტებამდე მიგვიყვანს. ამგვარ განმარტებას მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება მართალი სამართლის განხორციელების შესაძლებლობას არ იძლევა. არსებობს სემანტიკურად ერთმნიშვნელოვანი სიტყვები, რომელთა განმარტებაც იურისპრუნდენციაში მიუღებელია"[29] და გამოთქმა - „არ სურს" სწორედ ამგვარ სემანტიკურად ერთმნიშვნელოვან გამონათქვამს მიეკუთვნება. [30] პროფესორ ნონა თოდუას აზრით, „თუ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ევენტუალური განზრახვის დროს პირს შედეგის დადგომის სუსტი სურვილი აქვს, მაშინ ძლიერი და სუსტი სურვილის ერთმანეთისაგან გამიჯვნის კრიტერიუმიც უნდა მოვძებნოთ, რაც შეუძლებელი იქნება".[31] „თუ დავუშვებთ, რომ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის აუცილებლობის სურვილი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივად მნიშვნელოვანი, როდესაც მოცემულია ამ შედეგის დადგომის მხოლოდ შესაძლებლობის გათვალისწინება, მივიღებთ ისეთ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც პირი, რომელიც გაუფრთხილებლობით უსპობს სიცოცხლეს სხვა პირს, უნდა დაგვესაჯა არა საკუთრივ გაუფრთხილებლობისათვის, არამედ განზრახვისათვის".[32] პროფესორ ვ. მაყაშვილის მართებული შეხედულებით, ევენტუალური განზრახვით მოქმედი პირი ნასიამოვნებიც კი დარჩებოდა, თუ მის მიერ გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში შედეგი არ განხორციელდებოდა. [33]

ანალოგიური მსჯელობაა განვითარებული არაპირდაპირი განზრახვის საკითხთან დაკავშირებით, ინგლისის სისხლის სამართლის დოგმატიკაშიც, რომელშიც ცალსახა და ერთმნიშვნელოვანი პოზიციაა დაფიქსირებული იმის თაობაზე, რომ არაპირდაპირი განზრახვისას შედეგი არ არის სასურველი. ამ დროს ბრალდებული შესაძლოა მოწადინებულიც კი ყოფილიყო, რომ არ დამდგარიყო ის მართლსაწინააღმდეგო შედეგი, რაც რეალურად დადგა, თუმცა ამის მიუხედავად, იგი მაინც ახორციელებს საზიანო ქმედებას. ეს მიდგომა უბიძგებს ინგლისის მეცნიერებს იმისაკენ, რომ მსგავსება დაინახონ არაპირდაპირ განზრახვასა და გაუფრთხილებლობას შორის, სწორედ მართლსაწინააღმდეგო შედეგის არ დადგომის სურვილის ასპექტში. [34]

ამდენად, საინტერესოა ევენტუალური განზრახვის სამართლებრივი ბუნების კონკრეტულ საფრთხის დელიქტებთან შეთავსების საკითხი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევენტუალური განზრახვის საკანონმდებლო ცნებაც, პირდაპირი განზრახვის მსგავსად, შედეგიან, ე.ი. დასრულებულ შემადგენლობებზეა გათვლილი. „კონკრეტულ საფრთხის დელიქტებში კონკრეტული საფრთხე ისეთივე ელემენტია, როგორც რეალურად განხორციელებული შედეგი".[35] შესაბამისად, თავისუფლადაა შესაძლებელი, რომ პირი აცნობიერებდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობას, ითვალისწინებდეს, რომ თავისი ქმედებით სამართლით დაცულ ობიექტს კონკრეტული საფრთხის ზონაში აყენებს, რაც მას არ სურს, თუმცა გულგრილია კონკრეტული საფრთხის შექმნისადმი ან შეგნებულად უშვებს მას. მეტი თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ სისხლის სამართლის კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული

[26] თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 270.

[27] გეგელია, თ., 2018. „დაუმთავრებელი დანაშაულის კვალიფიკაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი პრობლემები". სადოქტორო დისერტაცია. კავკასიის უნივერსიტეტი. თბილისი: გვ. 111.

[28] მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2010. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 90.

[29] ხუბუა, გ., 2015. სამართლის თეორია. თბილისი: მერიდიანი, გვ. 200.

[30] მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2010. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი, გვ. 91.

[31] იქვე. გვ. 92.

[32] კუტალია, ლ., 2000. ბრალი სისხლის სამართალში (ექვს ტომად). თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 642.

[33] ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 144.

[34] Keenan, D. and Smith, K., 2001. English Law. Longman. Thirteenth Edition. გვ. 23.

[35] უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 17.

- შიდსის შეყრა, რომლის პირველი ნაწილითაც დასჯადადაა გამოცხადებული სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნა. მოცემული დისპოზიცია იმგვარადაა ფორმულირებული, რომ თავისუფლადაა შესაძლებელი მისი არაპირდაპირი განზრახვით ჩადენა, კერძოდ, სავსებით შესაძლებელია, რომ შიდსით ინფიცირებულ პიროვნებას საერთოდ არ უნდოდეს ამ დაავადების შეყრა თავისი სქესობრივი პარტნიორისთვის, თუმცა იმდენად სურდეს მასთან სქესობრივი კავშირის დამყარება, რომ გულგრილად ეკიდებოდეს ამ შესაძლო შედეგებს ან შეგნებულად უშვებდეს მათ. ანალოგიურად, შესაძლებელია, სისხლის სამართლის კოდექსის 132-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა (სხვისთვის განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრის საფრთხის შექმნა).

რაც შეეხება ევენტუალური განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენას, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ქართველ მეცნიერთა შორის. კერძოდ, ვლ. მაყაშვილი ევენტუალური განზრახვის არსებობას შესაძლებლად მიიჩნევდა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში და აღნიშნავდა: „იმ შემთხვევაში, როდესაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ქმედობის ჩადენის ფაქტს უკავშირდება, ეს უკანასკნელი აღჭურვილი უნდა იყოს გარკვეული თვისებებით, რომლებიც მას საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს ანიჭებენ. ამიტომ განზრახვის დასაბუთებისათვის აუცილებელია, რომ ამ თვისებასთან იყოს დაკავშირებული სუბიექტის ფსიქიკური განცდები. თუ ქმედების ჩამდენ პირს შეგნებული არა აქვს მოცემულ შემადგენლობაში შემავალი ნიშნები, რომლებიც ქმედებას ახასიათებენ როგორც დანაშაულს, მაშინ განზრახვის საკითხი ვერც კი დაისმება, თუნდაც ამა თუ იმ მიზნით ჩადენილი ქმედება, თავისთავად, ნებით იყოს წარმართული. განზრახვა გვექნება მაშინ, როცა ქმედების ჩამდენი სუბიექტი დარწმუნებულია (იცის), რომ ეს ქმედება ხასიათდება აღნიშნული ნიშნებით (პირდაპირი განზრახვა), ან კიდევ ეჭვობს, მაგრამ წარმოდგენილი აქვს მათი არსებობის შესაძლებლობა (ევენტუალური გაზნრახვა).[36]

შეგნება ნიშნავს იმას, რომ პირს დაზუსტებული, უტყუარი და არა საეჭვო, მხოლოდ თავის აზრებში წარმოდგენილი, ინფორმაცია უნდა გააჩნდეს ქმედების შემადგენლობის ნიშნების შესახებ, თუ იგი ეჭვობს რაღაცა გარემოების შესახებ, მაშინ გამოდის, რომ მას შეგნებული არ აქვს იგი. გარდა ამისა, ავტორის მსჯელობის ლოგიკური გაანალიზების შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ იგი ერთმანეთისაგან აცალკევებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედებასა და მის დამახასიათებელ საშიშ თვისებებს, კერძოდ, მისი შეხედულებით, პირმა, ერთი მხრივ, ზუსტად იცის დისპოზიციაში აღწერილი ქმედების შესახებ, თუმცა, მეორე მხრივ, შესაძლოა ეჭვობდეს, თუმცა მაინც წარმოდგენილი ჰქონდეს მისი საშიში ნიშან-თვისებები. ამის საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედება და მისი დამახასიათებელი საშიში ნიშან-თვისებები, ერთ მთლიანობად წარმოსდგება და მათი განცალკევება დაუშვებელია. შეუძლებელია, რომ პირმა, ერთი მხრივ, იცოდეს დისპოზიციაში აღწერილი ქმედების შესახებ თუმცა, ამავდროულად, ეჭვის დონეზე ფლობდეს ინფორმაციას მისი საშიში თვისებების შესახებ. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მართებული მოსაზრების თანახმად, „განზრახვა სხვა არაფერია, თუ არა შეგნებულობის სინონიმი".[37] შესაბამისად, აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში განზრახვა არსებობს მაშინ, როდესაც პირს შეგნებული აქვს ქმედების ნიშნები (პირდაპირი განზრახვა), რაც იმთავითვე ნიშნავს, რომ მას სრული ინფორმაცია გააჩნია ამ ქმედების დამახასიათებელი საშიში თვისებების თაობაზეც და, მიუხედავად ამისა, იღებს გადაწყვეტილებას აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოითქვა საწინააღმდეგო მოსაზრება, რომლის თანახმადაც „სიტყვა „უშვებს" არ უნდა იყოს ნახმარი ინტელექტუალური მნიშვნელობით, როგორც წარმოდგენა გარკვეული ნიშნების შესაძლებლობის არსებობისა. „დაშვება" ზუსტი იურიდიული მნიშვნელობის და სრულიად გარკვეული ფსიქოლოგიური შინაარსით დატვირთული ტერმინია. იგი გამოიყენება ადამიანის ნებელობითი დამოკიდებულების გამოსახატავად მის მიერ ჩადენილი ქმედობის საზოგადობრივად საშიში შედეგებისადმი".[38] აქ ავტორს მხედველობაში

[36] მაყაშვილი, ვ., 1965. ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის. საბჭოთა სამართალი, 4, გვ. 19. ნანახია სახელმძღვანელოში: ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 144.

[37] ნაჭყებია, გ., 2011. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: ინოვაცია, გვ. 380.

[38] უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 16.

აქვს დამდგარი მართლსაწინააღმდეგო შედეგი ან შექმნილი კონკრეტული საფრთხე. მართლაც, სისხლის სამართლის კოდექსის მე-9 მუხლის მესამე ნაწილი პირდაპირ უთითებს, რომ დაშვებაში იგულისხმება შედეგი ან კონკრეტული საფრთხე. ჩვენ თუ „დაშვებას" გამოვიყენებთ ქმედების დამახასიათებელი საშიში თვისებებისადმი, მაშინ ძალაუნებურად ვაცალკევებთ ქმედებასა და მასზე იმანენტურად მიბმულ საფრთხეს, რაც გულისხმობს იმას, რომ ქმედების დამახასიათებელი ნიშან--თვისებები უნდა ჩავთვალოთ შედეგად და დავადგინოთ მიზეზობრივი კავშირი, რაც აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში გაუმართლებელია.

ამიტომაც, პროფესორი მინდია უგრეხელიძე გაუმართლებლად მიიჩნევს საკითხის დასმას ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა ან მისი განმსაზღვრელი თვისებების დაშვების შესახებ. მისი მართებული შეხედულებით, ეს გარემოებანი შეიძლება მხოლოდ იცოდეს ან არ იცოდეს დამნაშავემ, შეგნებული ჰქონდეს მას, ან არ ჰქონდეს შეგნებული. აქედან გამომდინარე, ევენტუალური განზრახვა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში წარმოუდგენლად მიაჩნია.[39] აღნიშნულ საკითხზე ანალოგიურად მსჯელობს პროფესორი ნონა თოდუაც, „რომელიც აღნიშნავს, რომ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები ყოველთვის პირდაპირი განზრახვითაა ჩადენილი" .[40]

თვითიმედოვნება საფრთხის დელიქტებში

განზრახვის საკითხის განხილვის შემდეგ მნიშვნელოვანია, შევჩერდეთ გაუფრთხილებლობის მნიშვნელობაზე საფრთხის დელიქტებში. სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ქმედება თვითიმედოვნებითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ამ შედეგს თავიდან აიცილებდა. „თვითიმედოვნებას მეორენაირად შეგნებულ ანუ გაცნობიერებულ გაუფრთხილებლობასაც უწოდებენ".[41]

„კანონის მიხედვით, თვითიმედოვნების ინტელექტუალური მომენტი წააგავს განზრახვისთვის - როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვისათვის დამახასიათებელ ინტელექტუალურ მომენტს. ორივე ამ შემთხვევაში პირი ითვალისწინებს თავისი ქმედებით მართლსაწინაღმდეგო შედეგის დადგომას, მაგრამ პირის მიერ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინების ცნება არსებითად განსხვავდება გაუფრთხილებელობის ორივე სახისათვის დამახასიათებელი გათვალისწინებისაგან".[42] ამდენად, საინტერესოა, რამდენად შესაძლებელია თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტის ჩადენა, ჩაითვლება თუ არა კონკრეტული საფრთხე კანონით გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო შედეგად? როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, კონკრეტული საფრთხის შექმნა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი დელიქტების ობიექტური მხარის სავალდებულო ნიშანია, ამასთანავე, სისხლის სამართლის კოდექსის მე-8 მუხლის საფუძველზე დგინდება მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და კონკრეტულ საფრთხეს შორის, შესაბამისად, კონკრეტული საფრთხეც ითვლება კანონით გათვალისწინებულ შედეგად, ამ სიტყვის გარკვეული მნიშვნელობით.

„თვითიმედოვნების დროს დამნაშავე დარწმუნებულია, რომ დანაშაულებრივ შედეგს თავიდან აიცილებს, რაც კონკრეტული საფრთხის დელიქტებში გულისხმობს იმას, რომ დამნაშავე დარწმუნებულია კონკრეტული საფრთხის, როგორც გარკვეული შედეგის თავიდან აცილებაში".[43] „თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენას მხარს უჭერს პროფესორი მინდია უგრეხელიძეც და აღნიშნავს, რომ სუბიექტი შეიძლება ითვალისწინებდეს, რომ რეალურ საფრთხეს ქმნის თავისი ქმედობით, მაგრამ ქარაფშუტულად იყოს დარწმუნებული, რომ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში არსებობს მოპირისპირე გამანეიტრალებელი ძალები, რომლებიც ხელს შეუშლიან საფრთხის წარმოშობას".[44]

[39] იქვე, გვ. 16 -17.

[40] თოდუა, ნ., 2007. საფრთხის შემქმნელი დანაშაულები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით. მართლმსაჯულება და კანონი, 2 (3), გვ. 154.

[41] ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 245.

[42] გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 135-136.

[43] ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 154.

[44] უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 24.

სისხლის სამართლის კოდექსი მრავლად ითვალისწინებს ისეთი სახის კონკრეტული საფრთხის დელიქტებს, რომელთა ჩადენა გაუფრთხილებლობითაა შესაძლებელი. ზოგიერთ შემთხვევაში გაუფრთხილებლობაზე პირდაპირი მითითება თავად მუხლის შემადგენლობაშია მოცემული. მაგალითად, სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. ზოგჯერ კი თავად ქმედების შემადგენლობის ხასიათი მიუთითებს გაუფრთხილებლობაზე, კერძოდ, სისხლის სამართლის 2291 (პრიმა) მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ პუნქტი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ელექტროენერგიით ან თბოენერგიით, გაზით, ნავთობით ან ნავთობპროდუქტებით სარგებლობის წესების დარღვევისათვის ისეთი საშუალების გამოყენებით, რამაც საფრთხე შეუქმნა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. განსახილველ შემთხვევაში, დისპოზიციის ფორმულირებიდან გამომდინარე, მისი ჩადენა შესაძლებელია გაუფრთხილებლობის ორივე სახით - როგორც თვითიმედოვნებით, ასევე დაუდევრობითაც. მოცემული დელიქტი ბლანკეტური ხასიათისაა, ვინაიდან ეს წესები დადგენილია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით, რომლებიც გამოიყენებიან აღნიშნულ სფეროებში სამუშაოების წარმართვისას. რაც შეეხება მის ჩადენას თვითიმედოვნებით, ამის მაგალითია შემდეგი შემთხვევა: გაზგასამართ სადგურზე მომუშავე პირმა ავტომობილში ბუნებრივი ენერგიის ჩასატვირთად გამოიყენა მის მიერ კუსტარულად დამზადებული ხელსაწყო, რასაც აალება და მანქანის აფეთქება მოჰყვა, რის შედეგადაც გვერდზე მდგომ ავტომანქანის მფლობელებს შეექმნათ სიცოცხლის მოსპობის რეალური საფრთხე. მოცემულ შემთხვევაში, პირმა იცოდა, რომ ამგვარი ხელსაწყოს გამოყენება აკრძალულია და იწვევს მავნე შედეგებს, მაგრამ იგი დარწმუნებული იყო მის მიერ შექმნილი ხელსაწყოს საიმედოობაში და ამიტომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში გამორიცხავდა საზიანო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა მისი ქარაფშუტული მოლოდინები არ გამართლდა. თუ ადამიანი ასეთ ობიექტზე განზრახ გამოიყენებს აკრძალულ საშუალებას, ადამიანის სიცოცხლის მოსპობის ან სხვა მძიმე შედეგის გამოწვევის მიზნით, მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება არა ამ კონკრეტული საფრთხის დელიქტით, არამედ დამდგარი შედეგის მიხედვით სხვა განზრახი დანაშაულის მუხლით. რაც შეეხება თვითიმედოვნებით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენას, ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში. მეცნიერთა ნაწილს აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში თვითიმედოვნება ლოგიკურად, წარმოუდგენლად მიაჩნია, თუ სუბიექტი ახორციელებს საზოგადოებრივად საშიშ ქმედებას და შეგნებული აქვს ეს გარემოება, მაშინ ცხადია, მას არ შეუძლია, თუნდაც, ქარაფშუტულად ივარაუდოს, რომ თავიდან აიცილებს მას ან ივარაუდოს, რომ მისი ქმედება დაკარგავს საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს (ვინაიდან ქმედება და მისი დამახასიათებელი მავნე ნიშან-თვისებები ლოგიკურად ერთ მთლიანობას წარმოადგენენ). აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში ქმედება წარმოადგენს ყველაზე უფრო ზოგად, აბსტრაქტულ ნიშანს მის სხვადასხვა გამოვლინებებში. იგი გვევლინება, როგორც ქმედების იმანენტური თვისება. ამიტომ მისი შეგნება არ ტოვებს ადგილს რაიმე ვარაუდისათვის, რომ გარკვეულ გარემოებათა არსებობისას ქმედების ფაქტობრივი მხარე რაღაც მომენტში დაჰკარგავს თავის სოციალურ თვისებას.[45] მართლაც, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაფუძნებულია დისპოზიციაში აღწერილ, საზოგადოდ საყოფაცხოვრებო გამოცდილებიდან გამომდინარე საზიანო შედეგების მომტან ქმედების ჩადენასთან, ხოლო მისი ჩადენის შემდგომ განვითარებული გვერდითი მოვლენები მეორეხარისხოვანია, ვინაიდან ისინი შემადგენლობის მიღმაა. აქედან გამომდინარე, ბრალის საკითხის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს დამნაშავის ფსიქიკურ დამოკიდებულებას დისპოზიციაში აღწერილი ქმედებისადმი. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტისა და თვითიმედოვნების ბუნებიდან გამომდინარე, ალოგიკურია, რომ პირს, ერთი მხრივ, შეგნებული ჰქონდეს საშიში თვისებების მქონე ქმედება, რომელსაც სჩადის, ხოლო, მეორე მხრივ, კი უსაფუძვლოდ იმედოვნებდეს, რომ, გარკვეულ ობიექტურ თუ სუბიექტურ ფაქტორთა ძალით, მის მიერ ჩადენილი ქმედების შედეგად რეალიზებული არ იქნება მასთან ორგანულ კავშირში მყოფი საფრთხე. მაგალითად, პირი, რომელიც შექმნის უკანონო შეიარაღებულ ბანდას დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად, ალოგიკურია, ამავდროულად გამორიცხავდეს საზოგადოებრივი მართლწესრიგის საფუძ-

[45] უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 25.

ვლებისათვის საფრთხის შექმნას.

„უსაფრთხოების ნორმის დარღვევის გაცნობიერებასთან ერთად ადამიანს შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქცევა ხელყოფის ობიექტისათვის ქმნის ისეთი ხარისხის საფრთხეს, რომელიც მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საფრთხის შექმნის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს უზრუნველყოფს. რასაკვირველია, თუკი ადამიანი შეიცნობს, რომ არღვევს წინდახედულობის ნორმას, ამით ის საზოგადოდ საფრთხის შექმნის საზოგადოებრივ საშიშროებასაც აცნობიერებს“.[46]

მეცნიერთა მეორე ნაწილი კი თვითიმედოვნებას აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში შესაძლებლად მიიჩნევს და მის დასასაბუთებლად მიუთითებენ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების გამორჩეულ ტიპზე, რომელსაც აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების სახელწოდებით მოიხსენიებენ. მაგალითისთვის მიუთითებენ სსკ-ის 242-ე მუხლზე.[47] აღნიშნული მუხლით დასჯადადაა გამოცხადებული აფეთქებასაშიშსაწარმოშიანსაამქროშისაწარმოო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რასაც გაუფრთხილებლობით შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგი. მოცემული მუხლის შემადგენლობა მართლაც შესაძლებელია განხორციელდეს თვითიმედოვნებით, რადგან დამნაშავე შესაძლოა აცნობიერებდეს, რომ არღვევს საწარმოო წესებს და, ამავდროულად, იმედს ამყარებდეს თავის გამოცდილებაზე და ვარაუდობდეს, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში არ შეიქმნება მძიმე შედეგის დადგომის შესაძლებლობა. სწორადაა აღნიშნული, რომ „ამ შემთხვევაში თვითიმედოვნება სწორედ შედეგის დადგომის შესაძლებლობისადმი დამოკიდებულებით დგინდება“.[48] თუმცა, როგორც აღინიშნა, ჩვენგან განსხვავებით, ისინი აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტებს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობად განიხილავენ.

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სისხლის სამართლის კოდექსის 242-ე მუხლთან დაკავშირებით ნათქვამია, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება უსაფრთხოების წესების დარღვევის შედეგად მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან.[49] ვფიქრობთ, აღნიშნული მოსაზრება ოდნავ დაზუსტებას საჭიროებს, რადგან განსახილველი მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, მოცემული დანაშაული დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს არა მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის მომენტიდან (ეს დამახასიათებელია კლასიკური, კონკრეტული საფრთხის დელიქტებისათვის), არამედ მაშინ, როდესაც შეიქმნება საფრთხის იმგვარი ხარისხი, რომელსაც შეეძლო გამოეწვია მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე. აღნიშნული თავისთავად გამომდინარეობს მოცემული მუხლის დიპოზიციიდან, რომელიც მიუთითებს მძიმე შედეგის შესაძლო და არა უთუოდ გამოწვევაზე. აღნიშნული კი იმთავითვე მოწმობს, რომ კანონმდებელს მხედველობაში აქვს მძიმე შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხის შექმნის შესაძლებლობა და არა მძიმე შედეგის გამოწვევის კონკრეტული საფრთხის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუხლის დისპოზიცია იქნებოდა ამგვარი: აფეთქებასაშიშ საწარმოში ან საამქროში საწარმოო-ტექნიკური უსაფრთხოების წესის დარღვევა, რამაც გაუფრთხილებლობით შექმნა მძიმე შედეგის განხორციელების საფრთხე ან შესაძლებლობა.

ამდენად, თვითიმედოვნებით შესაძლებელია კლასიკური კონკრეტული საფრთხის დელიქტებისა და ამ უკანასკნელის განსაკუთრებული გამოვ-ლინების - აბსტრაქტულ-კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა. კლასიკურ აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში კი, მათი ბუნებიდან გამომდინარე, თვითიმედოვნება შეუძლებელია.

დაუდევრობა საფრთხის დელიქტებში

გაუფრთხილებლობის მეორე სახეს წარმოადგენს დაუდევრობა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის მე-10 მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით შემდეგნაირად განიმარტება: ქმედება დაუდევრობითაა ჩადენილი, თუ პირს გაცნობიერებული არ ჰქონდა წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედება, არ ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, თუმცა ამის გათვალისწინება მას

[46] წერეთელი, თ., 2010. სისხლის სამართლის პრობლემები. მეოთხე ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 218.

[47] ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 155-156.

[48] იქვე. გვ. 156.

[49] ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი პირველი. მე-7 გამოცემა. თბილისი: მერიდიანი. გვ. 791.

ევალებოდა და შეეძლო კიდეც. როგორც ვხედავთ, დაუდევრობის დროს, თვითიმედოვნებისაგან და განზრახვისაგან განსხვავებით, ინტელექტუალური ნიშანიც არ გვაქვს სახეზე - კერძოდ, არ გვაქვს წინდახედულობის ნორმით აკრძალული ქმედების გაცნობიერება. შესაბამისად, გამოირიცხება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის გათვალისწინებაც. ამდენად, ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ არც ნებელობითი ნიშანია სახეზე - მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილი. „ვინაიდან შეუძლებელია გსურდეს ის, რაც არ იცი“.[50] დაუდევრობა შეიძლება სხვანაირად იწოდოს, როგორც გაუცნობიერებელი, ანუ შეუგნებელი გაუფრთხილებლობა“.[51] ვინაიდან დაუდევრობაც, როგორც წესი, შედეგიან დელიქტებზეა გათვლილი, ამიტომ საინტერესოა, მისი საფრთხის დელიქტებთან თავსებადობის საკითხი. კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა დაუდევრობით სავსებით შესაძლებელია, კერძოდ, სსკ-ის 2291 მუხლის დისპოზიციაზე დაყრდნობით განვიხილილოთ შემდეგი შემთხვევა: ელექტრომონტიორმა იმოქმედა ძველი ინსტრუქციით, მაშინ როდესაც ახალი წესი მოქმედებდა, თუმცა, იგი არასაპატიო მიზეზით არ გაეცნო მას. ამის გამო მას არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ არღვევდა უსაფრთხოების წესებს და, შესაბამისად, არც ითვალისწინებდა ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის კონკრეტული საფრთხის შექმნას. მისი ქმედებით ადამიანის სიცოცხლე დადგა კონკრეტული საფრთხის წინაშე. როგორც ვხედავთ, მართლსაწინააღმდეგო შედეგის ადგილს იკავებს კონკრეტული საფრთხე, ამიტომ დაუდევრობით სავსებით შესაძლებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტებისჩადენა.„დაუდევრობისდროსსუბიექტი არ ითვალისწინებს თავისი ქმედებით კონკრეტული საფრთხის შექმნას სამართლით დაცული ობიექტისათვის, თუმცა მოვალე იყო და შეეძლო ამის გათვალისწინება. ამ მხრივ დაუდევრობის საგნობრივი შინაარსის თვალსაზრისით სრული ანალოგია არსებობს შედეგიან და კონკრეტული საფრთხის დელიქტებს შორის“.[52] მეტად საკამათოა დაუდევრობის საკითხი აბსტრაქტულ საფრთხის დელიქტებში. ვინაიდან აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები არც შედეგს გულისხმობს და, შესაბამისად, არც მიზეზობრივ კავშირს, მაშინ გამოდის, რომ პირს გათვალისწინებული არ აქვს მის მიერ განხორციელებული ქმედების საზოგადოებრივი მნიშვნელობა და საშიშროება. ე.ი. დაუდევრობა შესაძლებელია დასაბუთდეს საკუთრივ ქმედებისადმი, კერძოდ, ყოველთვის არაა შესაძლებელი, დასაბუთდეს დაუდევრობა აბსტრაქტული საფრთხის დელიქტში. მართებულად აღნიშნავს პროფესორი მინდია უგრეხელიძე, რომ „დაუდევრობის დასაბუთება საკუთრივ ქმედებისადმი შეუძლებელი იქნება, თუ ვერ დასაბუთდა, რომ კანონს შეუძლია დაავალდებულოს მოქალაქე გააცნობიეროს საკუთარი ქმედება“.[53] აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების დისპოზიცია უმეტესწილად ითვალისწინებს ისეთი საზოგადოებრივად საშიში თვისებების შემცველ ქმედებებს, რომლებიც, საზოგადოდ, საზოგადოებაში დამკვიდრებული ყოფა-ცხოვრების წესებისა და ყოფითი პირობებიდან გამომდინარე, ცნობილია სოციუმში მცხოვრები საშუალო ინტელექტის მქონე ნებისმიერი ადამიანისათვის. აქედან გამომდინარე, ზოგ შემთხვევებში შესაძლებელია ვამტკიცოთ კიდეც, რომ პირს შეეძლო და ევალებოდა გაეცნობიერებინა მის მიერ განხორციელებული საშიში თვისებების შემცველი ქმედების ფაქტობრივი და სოციალური მხარე, მისი ცხოვრების მანძილზე შეძენილი ცოდნისა და უნარების გათვალისწინებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია, სახეზე იყოს გამონაკლისი ვითარება. ეს ყოველივე ინდივიდუალურად, ობიექტური და სუბიექტური კრიტერიუმების მხედველობაში მიღებით უნდა შეფასდეს.

დასკვნა

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ პირდაპირი განზრახვით თავისუფლადაა შესაძლებელი საფრთხის დელიქტების განხორციელება. ვინაიდან კონკრეტული საფრთხის დელიქტების შემთხვევაში შედეგის ადგილს იკავებს კონკრეტული საფრთხე, აბსტრაქტულის დროს კი - განზრახვის სამივე ელემენტი მიმართულია საკუთრივ ქმედებისადმი. რაც შეეხება არაპირდაპირი განზრახვით აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების

[50] ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 157.

[51] ტურავა, მ., 2013, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 246.

[52] უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 31- 32.

[53] იქვე. გვ. 36 - 37.

განხორციელების საკითხს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ფაქტობრივად შეუძლებელია სწორედ აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ბუნების გათვალისწინებით, ვინაიდან მასში ქმედება თავისთავად შერწყმულია საფრთხესთან. ამიტომ, თუ დამნაშავე აცნობიერებს ქმედების ნიშნებს და, მიუხედავად ამისა, მაინც ახორციელებს მას, ე.ი. მას სურს საფრთხის შექმნაც, წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ არ განახორციელებდა აღნიშნულ ქმედებას.

რაც შეეხება თვითიმედოვნებას, ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ თვითიმედოვნებით კონკრეტული საფრთხის დელიქტების ჩადენა სავსებით შესაძლებელია, ვინაიდან ამ დროს დამნაშავე გაცნობიერებულად არღვევს წინდახედულობის ნორმით აკრძალულ ქცევას, თუმცა, ქარაფშუტულად იმედოვნებს, რომ მისი ქმედებით არ შეიქმნება კონკრეტული საფრთხე. თვითიმედოვნებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენა ფაქტობრივად შეუძლებელია, რამეთუ წარმოუდგენელია, ადამიანს, ერთი მხრივ, გაცნობიერებული ჰქონდეს, რომ სჩადის წინდახედულობის ნორმით აკრძალულ, საშიში თვისებების შემცველ ქმედებას, რომლის განხორციელებაც იმთავითვე საფრთხის შექმნას გულისხმობს, და ამავდროულად, უსაფუძვლოდ ამყარებდეს იმედს სუბიექტურ თუ ობიექტურ გარემოებებზე, რომ საფრთხეს თავიდან აცილებს. აღნიშნული შეუძლებელია, ვინაიდან, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტის დისპოზიციაში მოცემული ქმედების განხორციელება თავისთავშივე საფრთხის შექმნას წარმოადგენს. რაც შეეხება დაუდევრობას, იგი სავსებით შესაძლებელია კონკრეტული საფრთხის დელიქტებში, ვინაიდან ისინი შედეგიან დანაშაულებადაა მიჩნეული, დაუდევრობა კი, განზრახვასა და თვითიმედოვნების მსგავსად, შედეგიან დელიქტებზეა გათვლილი. დაუდევრობით აგრეთვე თავისუფლადაა შესაძლებელი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ჩადენა. განსახილველ შემთხვევაში, დაუდევრობის ელემენტები უნდა დასაბუთდეს საკუთრივ ქმედებისადმი.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: მერიდიანი.
2. გამხიტაშვილი, გ., 2019. განზრახვა და გაუფრთხილებლობა საფრთხის დელიქტებში. [ინტერნეტი] ხელმისაწვდომია: <https://openscience.ge/bitstream/1/1087/1/samagistro%20gamkhitashvili.pdf> [წვდომის თარიღი 30 ივნისი 2021].
3. ცქიტიშვილი, თ., 2015. ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები. თბილისი: მერიდიანი.
4. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2010. კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში. თბილისი: მერიდიანი.
5. ნაჭყებია, გ., 2011. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი. თბილისი: ინოვაცია.
6. ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. მეცხრე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი.
7. უგრეხელიძე, მ., 1982. ბრალი საფრთხის დელიქტებში. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა.
8. წერეთელი, თ., 2010. სისხლის სამართლის პრობლემები. თბილისი: მერიდიანი.
9. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი გ. და თოდუა ნ., 2019. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი პირველი. მე - 7 გამოცემა. თბილისი: მერიდიანი.
10. Michael, G.A. and Christie, M.A., 1996. Criminal Law. Sixth Edition. Edinburg: Oxford University Press.
11. Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition.
12. Simester, A. P., Spencer, J. R., Sullivan, G.R. and Virgo, G.J., 2013. Criminal Law, Theory and Doctrine. Fifth Edition.

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999, # 2287.

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
2. Gamkhitashvili, G., 2019. Intention and Carelessness in the Delicts of hazard. [Online] Available at: <https://openscience.ge/bitstream/1/1087/1/samagistro%20gamkhitashvili.pdf> [Accessed 8

May 2021]. (in Georgian)
3. Tseretheli, Th. 2010. The Problems of Criminal Law. Fourth volume. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
4. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. ninth edition. Tbilisi: publishing house Meridiani. (in Georgian)
5. Mchedlishvili-Hedrikhi, K., 2010. Methods of Solving Special Case in Criminal Law. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
6. Nachkebia, G., 2011. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: innovation. (in Georgian)
7. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university. (in Georgian)
8. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health. Tbilisi: Meridiani (in Georgian)
9. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. The Special Part of Criminal Law. Book first. seventh edition. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
10. Elliot, C. and Quinn, F., 2014, Criminal Law. Tenth Edition. (in English)
11. Simester, AP., Spencer, JR., Sullivan, GR. and Virgo, GJ., 2013. Criminal Law, Theory and Doctrine. Fifth Edition. (in English)
12. Smith, J., Hogan., 2002. Criminal Law. Butterworths, Tenth Edition. (in English)

Normative materials:

1. Law of Georgia Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999, #2287. (in Georgian)

REFERENCES:

1. Todua, N. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 226. (in Georgian)
2. Michael, G. A. and Christie, M.A., 1996. Criminal Law. Sixth Edition. Edinburg: Oxford University Press, p. 51. (in English)
3. Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition. p. 22. (in English)
4. Simester, A. P., Spencer, J. R., Sullivan, G. R. and Virgo, G. J., 2013. Criminal Law, Theory and Doctrine. Fifth Edition. p. 168. (in English)
5. Smith, J. H., 2002. Criminal Law. Butterworths. Tenth Edition. p. 50. (in English)
6. Todua, N. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 269. (in Georgian)
7. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition. Tbilisi: Meridiani, p. 132. (in Georgian)
8. Maghlakelidze, L., 2012. „Intention and consciousness of misconduct according to criminal law of Georgian and Germany". Doctoral dissertation. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 165. (in Georgian)
9. Todua, N. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 270. (in Georgian)
10. Gegelia, T., 2018. „The problems of unaccomplished crimes". Doctoral dissertation. Caucasus University. Tbilisi: p. 111. (in Georgian)
11. Tsqitishvili, Th., 2014. for the questions of indirect intenshion. justice and law, 4 (43), p. 105. (in Georgian)
12. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. p. 129. (in Georgian)
13. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 13. (in Georgian)
14. Ibid.
15. Tseretheli, Th., 2010. The Problems of Criminal Law. Fourth volume, Tbilisi: Meridiani, p. 217. (in Georgian)
16. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 15. (in Georgian)
17. Ibid. p. 14.
18. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health. Tbilisi: Meridiani, p. 143. (in Georgian)
19. Article. 9, Law of Georgia Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999, # 2287. (in Georgian)
20. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. p. 132. (in Georgian)
21. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition, Tbilisi: Meridiani, pp. 130-131. (in Georgian)
22. Maghlakelidze, L., 2012. „Intention and consciousness of misconduct according to criminal law of Georgian and Germany". Doctoral dissertation. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 166. (in Georgian)
23. Mtchedlishvili-Hedrikhi, K., 2010. Methods of Solving Special Case in Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 90. (in Georgian)
24. Ibid. p. 90.
25. Maghlakelidze, L., 2012. "Intention and consciousness of misconduct according to criminal law of Georgian and Germany. Doctoral dissertation. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p.

169. (in Georgian)
26. Mtchedlishvili-Hedrikhi, K. and others, 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 270. (in Georgian)
27. Gegelia, T., 2018. „The problems of unaccomplished crimes“. Doctoral dissertation. Caucasus university. Tbilisi: p. 111. (in Georgian)
28. Mtchedlishvili-Hedrikh, K., 2010. Methods of Solving Special Case in Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 90. (in Georgian)
29. Khubua, G., 2015. theory of law. Tbilisi: Meridiani, p. 200. (in Georgian)
30. Mtchedlishvili-Hedrikh, K., 2010. Methods of Solving Special Case in Criminal Law. Tbilisi: Meridiani, p. 91. (in Georgian)
31. Ibid. p. 92.
32. Kutalia, L., 2000. blame in criminal law. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 642. (in Georgian)
33. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health.Tbilisi: Meridiani, p. 144. (in Georgian)
34. Keenan, D. and Smith, K., 2001. English Law. Longman. Thirteenth Edition. p. 23. (in English)
35. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 17. (in Georgian)
36. Maqhashvili, V., 1965. for the questions of indirect intenshion. Soviet law, 4, p.19. Seen at textbook: Tsqitishvili, T., 2015. The hazard delicts against of human life and health. Tbilisi: Meridiani, p. 144. (in Georgian)
37. Nachkebia, G., 2011. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: publishing house innovation. p. 380. (in Georgian)
38. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, p. 16. (in Georgian)
39. Ibid. pp. 16-17.
40. Todua, N., 2007. the hazard crimes according to Law of Georgia Criminal Code of Georgia. Journal justice and law, 2/3, p. 154. (in Georgian)
41. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. Ninth Edition. Tbilisi: Meridiani, p. 245. (in Georgian)
42. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian) pp. 135 - 136. (in Georgian)
43. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health.Tbilisi: publishing house Meridiani, p. 154. (in Georgian)
44. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of university, p. 24. (in Georgian)
45. Ibid. p. 25.
46. Tseretheli, Th., 2010. The Problems of Criminal Law. Fourth volume, Tbilisi: Meridiani, p. 218. (in Georgian)
47. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health.Tbilisi: Meridiani, pp. 155-156. (in Georgian)
48. Ibid. p. 156.
49. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2019. The Special Part of Criminal Law. Book first. seventh edition. Tbilisi: Meridiani, p. 791. (in Georgian)
50. Tsqitishvili, Th., 2015. The Hazard Delicts Against Human Life and Health.Tbilisi: Meridiani, p. 157. (in Georgian)
51. Turava, M., 2013. Criminal Law, the review of General Part. ninth edition. Tbilisi: Meridiani, p. 246. (in Georgian)
52. Ugrekhelidze, M., 1982. Blame in the Hazard Delicts. Tbilisi: publishing house of Tbilisi state university, pp. 31-32. (in Georgian)
53. Ibid. pp. 36-37.